







2010 წელს ამერიკულმა გამოცემა „მეინ ჯასთისმა“, რომელიც იუსტიციის დეპარტამენტთან მჭიდროდ თანამშრომლობს, გამოაქვეყნა სტატია - „კორუფციის გამოძიება იარაღის ბიზნესის შესახებ საქართველოსკენ მიუთითებს“.

სტატიიდან კორუფციული სქემის გარკვეული დეტალები გახდა ცნობილი.

შერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტმა გააფართოვა თავისი გამოძიება კორუფციის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს მთავრობისთვის იარაღის მიყიდვას უკავშირდება.

როგორც საქართველოს საზოგადოება მეტ-ნაკლებად არის ინფორმირებული, საუბარია იანვარში დაკავებულ 22 ექვმიტანლიზე, რომლებიც ჩართულნი იყვნენ იარაღის ბიზნესში.

მათგან სამმა კი, კორუფციული სქემით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2008 წელს სამხედრო მოქმედების დაწყებამდე 21,2 მილიონი ერთეული ამუნიცია მიჰყიდა.

სტატიის ავტორი ქრისტოფერ მეთიუ აღნიშნავს, რომ 2008 წელს საქართველოს მთავრობა საბრძოლო მასალების ძიებაში იყო.

სწორედ ამ დროს ასპარეზზე გამოჩნდა პიროვნება, სახელად დენიელ ალვირესი, რომელსაც შეეძლო ეშოვა „ემ-855“ ტიპის საბრძოლო ტყვიები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში შემდგომი რეალიზაციის მიზნით. თუკი ადრე გამოძიება მალავდა ის-

# რას ნერდა ახერხებდა მადია ღვინო კავშირებში



რეალის მოქალაქის ვინაობას, რომელიც საქმეში გაყიდვების აგენტად იყო მოხსენიებული, ამჯერად, მისი სახელიც ცნობილი ხდება. ეს არის ოფერ პაზი, რომელიც ერთ-ერთი 22 დაკავებულს შორის.

პაზი ისარგებლა დაფუძნებული კომპანიის „პაზ ლოჯისტიკის“ პრეზიდენტობით. რაც შეეხება უშუალოდ ამუნიციის შესყიდვას, გამოძიებამ ამ ადამიანის გვარიც დაადგინა. ეს არის ბრალდებული მარკ მორალესი. საქმეში ის სახელდებულია, როგორც: „შეთქმულების მონაწილე ნომერი ერთი“.

ასევე, მათი თანამშრომელი ფლორიდაში მცხოვრები საულ მიშკინი, რომელიც სამხედრო სფეროსთან დაკავშირებული მასალებით ვაჭრობდა. მიშკინი საქართველოს მთავრობაზე თავის ბიზნესპარტნიორის, ისრაელში მცხოვრები მოქალაქის შაბთაი ბატაშვილის საშუალებით გავიდა. სტატიის ავტორს კვლევის მიზნით მიუძღვნა იმჟამინდელ თავდაცვის მინისტრთან საქართველოში დავით კეზერაშვილთან.

ან. ავტორი კეზერაშვილის კარიერასაც იხსენებს.

კერძოდ, ის მხოლოდ 29 წლის იყო, როდესაც საქართველოს თავდაცვის მინისტრად დაინიშნა და რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სამხედრო ოპერაციას ხელმძღვანელობდა.

თანამდებობა კი დეკემბერში დატოვა. ის თბილისშია დაბადებული და ახალგაზრდობის რამდენიმე წელი მეორე სამშობლოში - ისრაელში აქვს გატარებული. მისი ზუსტი კავშირი ისრაელში წარმოებული იარაღის ბროკერთა ბატაშვილთან ვერავრით ცნობილი არ არის.

დავით კეზერაშვილის შესახებ წერს „მეინ-ჯასთისის“ კიდევ ერთი ავტორი სტივ ლევინი.

სტატიის სათაურია: „საკავშირის პროტექტე საქართველოს რუსეთთან ომში ჩაბმვაში დაეხმარა“.

ავტორი იხსენებს კეზერაშვილის ინტერვიუს, რომელიც მან ომამდე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს მისცა:

„ჩემი ამოცანაა დავასრულო საქართველოს არმიის მშენებლობა, რათა საქართველომ შეძლოს ყველა მისი ინტერესის დაცვა...“

ავტორი წერს: „მას არ დაუკონკრეტებია, რა ამოცანაზე საუბრობდა, თუმცა, როგორც არ უნდა ყოფილიყო, ეს ამოცანა ისრაელელი კონტრაქტორების დროს მოიცავდა“.

სტივ ლევინი აღნიშნავს, რომ ომის შემდეგ მოსკოვის მოთხოვნის გამო ისრაელმა საქართველოს სამხედრო დახმარება შეწყვიტა.

თელავივი რუსეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობს, რათა სირიასა და ირანზე მოსკოვის გავლენას შეუშალოს ხელი. რაც შეეხება კორუფციულ სქემას, რომლის გამოც 22 ადამიანია დაკავებული, სტატიის ავტორს კეზერაშვილის პირადმა თანაშემწემ ნინო ჯიბლაძემ განუცხადა, რომ კეზერაშვილი ამ საქმის დასრულებამდე კომენტარს არ გააკეთებს. როგორც ჯიბლაძემ სტივ ლევინს განუცხადა, კეზერაშვილი აშკარად ნავთობისა და გაზის ვაჭრობით არის დაკავებული. (შპს)

## მნიშვნელოვანი უსაფრთხოების მითითება

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნებაყოფლობითი გამოხმობა ზუმფარის დანადგარებისათვის სერიის ნომრით: PSS 200, PSS 20, PSS 190, PSS 200, PSS 250 და PSS 2000 - შეეხება ინსტრუქციებს, რომლებიც წარმოებულია უშუალოდ 2007 წლის ივნისიდან - აგვისტოდან პერიოდში. ამიერიდან ამ დანადგარების გამოყენება ან გასხვისება არ არის ნებადართული.

ამიერიდან დაუშვებელია დანადგარების გამოყენება ან გასხვისება.

დაზიანებულია თუ არა თქვენი დანადგარი შეგიძლიათ შეიტყუოთ ონლაინ მისამართზე: [www.sandercare.com](http://www.sandercare.com)

ჩვენ რაღატაქმუნდა უფასოდ შეგიცვლით დაზიანებულ დანადგარს

Robert Bosch Ltd  
G. Lortkipanidze St. 4  
0105 Tiflis

ცხოვრებისათვის შექმნილი

თბილისში მოგზაურობა რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ძვირია

სააგენტო „ნუმბოს“ მიერ შედგენილი მოგზაურობის ინდექსის თანახმად, 2016 წლის მონაცემებით, საქართველოში საშუალო დონის მოგზაურის ინდექსი 78,18, ხოლო საშუალოზე მაღალის კი 53,53-ია.

ერთი დღის გატარება თბილისში საშუალო მოგზაურს 67 დოლარი უჯდება, საშუალოზე მაღალი დონის მოგზაურს კი - 178 დოლარი.

თბილისში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია სასტუმროების ფასი: იაფიანი სასტუმროების, ე.წ. ჰოსტელების ღირებულების ინდექსი 137,50-ია, ხოლო 3-4 ვარსკვლავიანი სასტუმროების შემთხვევაში - 97,22.

სასტუმროების ფასის ინდექსით თბილისი 700-ზე მეტ ქალაქს შორის რუკაზე ნითლად არის აღნიშნული, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია.

ინდექსის შედგენისას, სააგენტომ ოთხი კომპონენტი გამოიყენა, მათ შორის 1-2 ვარსკვლავიანი სასტუმროს ფასები, 3-4 ვარსკვლავიანი სასტუმროს ფასები, საშუალო დონის მოგზაურის ერთი დღის ხარჯები შესაბამის ქალაქში და საშუალოზე მაღალი დონის მოგზაურის ერთი დღის ხარჯები.

ინდექსის მიხედვით, ერევანში საშუალო მოგზაურს ერთი დღის გატარება 34,32 დოლარი, საშუალოზე მაღალი დონის მოგზაურს კი 96,30 დოლარი უჯდება, ბაქოში - საშუალო მოგზაურს - 30,83 დოლარი და საშუალოზე მაღალი დონის მოგზაურს - 98,80 დოლარი, სტამბოლში - 37,73 დოლარი/107,95 დოლარი. (შპს)

თბილისში მოგზაურობის მისილი სააკაშვილის მოადგილეს უკრაინის დროშაზე სასქესო ორგანოების გამოსახვისთვის პატიმრობა ემუქრება

ოდესკელ დეპუტატს, ალექსანდრ ბარაკიკს უკრაინის დროშაზე სასქესო ორგანოების გამოსახვისთვის 3 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ოდესის სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა უკრაინის დროშა, რომელზეც მამაკაცისა და ქალის სექსუალური ორგანოები გამოსახა, „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა. (exclusivnews.ge)

თბილისში სამგორის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე პაატა ელიზბარაშვილი დაჭრეს

ბაგებში სამგორის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე პაატა ელიზბარაშვილი დაჭრეს.

ის საავამყოფოშია გადაყვანილი და ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შემთხვევა 9 აპრილს მოხდა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, სამართალდამცემებმა ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს და ორი პირი დააკავეს. უწყების ინფორმაციით, გამოძევა 118-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხეულის განზრახ, მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს. (akirage)









მარიკა ვერულაშვილის პირველი ქმარი ყოფილი ცოლის სისასტიკეზე აღაპარაკდა



მარიკა ვერულაშვილის პირველი ქმარი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პაატა ცნობილადე ყოფილი ცოლის სისასტიკეზე აღაპარაკდა. ტელეკომპანია HTB-ს მიერ მომზადებულ სიუჟეტში „სააკაშვილის განაჩენი“ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ დეპუტატ მარიკა ვერულაშვილის ყოფილმა მეუღლემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პაატა ცნობილადემ იმ უსამართლობასა და სისასტიკეზე ისაუბრა, რაც ყოფილმა მეუღლემ სააკაშვილის რეჟიმის დახმარებით მის ოჯახზე განახორცილა. როგორც ირკვევა, პროფესორ პაატა ცნობილადესთან მიხედვით სააკაშვილი ბავშვობიდან მეგობრობდა, მათ ოჯახებსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა წლები გადიოდა და ცნობილადე მიხვდა, რომ ასეთი მეგობრის ყოლისას მტრები სულაც არ არის საჭირო.

საკაშვილის დროს თბილისი იყო მკვდარი ქალაქი ცოცხალი ადამიანებით. მთელი ქვეყანა დიდი ციხე იყო, - ამბობს პაატა ცნობილადე. მარიკა ვერულაშვილის პირველი ქმარი სააკაშვილის რეჟიმის დროს თავისი ყოფილი მეუღლის გავლენებზე საუბრობს და მას „პოლიტიკურ პირველ ლედის უწოდებს“. ამბობს, რომ მასთან ერთად ერთი წელი იცხოვრა და საერთო შვილიც ჰყავთ. ერთი წლის მერე მარიკა ვერულაშვილი სააკაშვილის რეჟიმში მოხვდა და დაიწყო კიდევ ხელისუფლების გამოყენება, ბრძყალები ოჯახისკენ მოიწვირა, პირველი მისი მსხვერპლი, ყოფილი მული, ცნობილადის და გახდა. „დააკავეს ჩემი და და მე ქვეყანა უნდა დამეტოვებინა, ჩემს მანქანაში ტყვიები „აღმოაჩინეს“. ამ პროცესებს ჩემი ყოფილი მეუღლე ხელმძღვანელობდა. სამსახურეობრივად ის პირველი ლედი იყო. მარიკა ჩემი შვილის დედა და აღარ მინდა ამ თემაზე საუბარი“. მერე მოხდა ის, რომ ცნობილადის სახლი მოეწონა სააკაშვილის ძმას. ნაიყვანეს დედამისი და გადააფორმეს დათო სააკაშვილზე. „მამინ მას უთხარი, რომ მოვითმენდი და ავიტანდი ყველაფერს გარკვეულ დრომდე და მერე ყველა ყველაფრისთვის პასუხს აგებდა“ - აცხადებს ცნობილადე. (postali.com)

Intermarium - უსაფრთხოების ალიანსი მოსკოვის წინააღმდეგ, რომელშიც საქართველოც უნდა შევიდეს



ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნები, რომლებიც მოსკოვს საფრთხედ მიიჩნევენ, უნდა გაერთიანდნენ, - ამის შესახებ ევროატლანტიკური თანამშრომლობის ინსტიტუტის მკვლევარმა, გერმანელმა პროფესორმა ანდრეას უმლანდმა განაცხადა. მისი თქმით, უნდა შეიქმნას ახალი უსაფრთხოების ალიანსი, რომელსაც Intermarium დაექმევა და რომელშიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები შევლენ. მათ შორის ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, უკრაინა, მოლდოვა, თურქეთი და საქართველო. უმლანდი ეს ქვეყანა ამ დრომდე დაზარალებულა რუსეთის მხრიდან საინფორმაციო, სავაჭრო, კიბერ, ციფრულ და სხვა სფეროებში. ანტირუსული ალიანსი უნდა მოიცავდეს ევროპის ყველა იმ ქვეყანას, რომლებიც მზად არიან გარკვეულ დონეზე მოსკოვის წინააღმდეგ სამხედრო და სხვა სახის თანამშრომლობისთვის. ეს ბლოკი უნდა მოიცავდეს თითქმის ყველა ან უმრავლეს ქვეყანას ქალაქ ნარვადან (ესტონეთი) ქალაქ ფოთამდე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ის, შესაძლოა, ასევე მოიცავდეს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა შვედეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი და ბულგარეთი, - ამბობს ანდრეას უმლანდი. გერმანელი ანალიტიკოსის თქმით, ალიანსის უპირველესი მიზანი უნდა იყოს მოსკოვისთვის მკაფიო მესაზღვრე გაგზავნა. კერძოდ, ალიანსი უნდა იყოს სიგნალი რუსეთისთვის, რომ თუ მოსკოვი მომავალში დაიწყებს კონფრონტაციას, მან უნდა იცოდეს რომ ამას გამოიმართება მოწყვეტა არა ერთი, არამედ მთელი ამ ქვეყნების ჯგუფისგან ერთად. (allnews.ge)

Observer: პანამის დოკუმენტები ჰილარი კლინტონის კრემლთან კავშირს ამხელს



რუსეთის უმსხვილესი „სბერბანკი“ აშშ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, ჰილარი კლინტონის კამპანიას ფარულად აფინანსებს, რათა შემდგომში კრემლის რეჟიმის წინააღმდეგ სანქციები შემსუბუქდეს, - ინფორმაციას გამოცემა Observer-ენ. პანამის დოკუმენტებზე დაყრდნობით ავრცელებს. ჯონ შინდლერი სტატიაში „პანამის დოკუმენტების კრემლისა და კლინტონის ფარული ურთიერთობა“ წერს, რომ The Podesta Group, რომელიც კლინტონის საპრეზიდენტო კამპანიის ერთ-ერთი ძირითადი მითამაშეა, ამავდროულად რუსეთის სახელმწიფო ბანკის „სბერბანკის“ ლობისტია ამერიკის შეერთებულ შტატებში. შინდლერი აღნიშნავს, რომ სანქციები, რომლის გასაუქმებლად Podesta Group რუსეთის უმსხვილესი ბანკის მხარდასაჭერად იბრძვის, უკრაინაში რუსეთის აგრესიაზე პასუხად იქნა მიღებული და მან რუსეთის ფინანსურ სექტორს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. Podesta Group ძმებმა ტონი და ჯონი პოდესტებმა 1998 წელს დააარსეს. ჯონი პოდესტა ბილ კლინტონის საპრეზიდენტო კამპანიის უფროსად მუშაობდა, ხოლო შემდეგი წლების განმავლობაში იყო ბარაკ ობამას მრჩეველი. ხშირად ამ ჯგუფს აშშ-ის დემოკრატიული ფრთის მთავარ ინსაიდერად და სუპერლობისტად მოიხსენიებენ. შინდლერი წერს, რომ ლობირების მომსახურების თაობაზე გარიგებას მხარეებმა გაზაფხულზე მოანერგეს ხელი. „სბერბანკის“ ლობისტებმა პოდესტებს „სამი თანამშრომელი დარეგისტრირდა: ტონი პოდესტა, სტივენ რეიდმარკერი და დევიდ ადამსი. საინტერესოა, რომ პოდესტებმა გადასცალამდე რეიდმარკი და ადამსი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანამშრომლებად მუშაობდნენ. „პანამის დოკუმენტებში“ პოდესტას ჯგუფი რამდენჯერმე ნახსენებია. მათ შორის, როგორც რუსული კომპანია „ტროიკა დიალოგის“ მიერ დაქირავებული კომპანია. შურნალისტი აღნიშნავს, რომ „ტროიკა დიალოგი“ რუსეთის სახელმწიფო ბანკ „სბერბანკის“ საინვესტიციო კომპანიას წარმოადგენს, მას შემდეგ, რაც „სბერბანკმა“ ეს კომპანია 1 მილიარდ დოლარად შეიძინა 2011 წელს. სტატიაში, შურნალისტი განმარტავს, რომ „სბერბანკის“ გავლით

მერ ნარმანიას გამოცდილება კოლეგა მერებს - „როგორ უნდა აიღო, გამოიწერო პრემია ყოველთაზე, ზედ დანაშაუტი, როგორ უნდა იმოგზაურო უცხოეთში და როგორ დაიკიდო ფეხებზე ქალაქი“



„კომედიურ ჟანრს“ უწოდებს „ლიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა თბილისისა და თელავის მერებს შორის გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც დაეთნა ნარმანიამ კოლეგებს გამოცდილება უნდა გაუზიაროს:



გამოცდილებებს - როგორ უნდა აიღო, გამოიწერო პრემია ყოველთაზე, ზედ დანაშაუტი, როგორ უნდა იმოგზაურო უცხოეთში და როგორ დაიკიდო ფეხებზე ქალაქი, მისი პრობლემები, მოსახლეობა და მთავარი იყოს შენთვის პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა და როგორ უნდა იყო სხვის ხელში მარიონეტი. ამ გამოცდილებას თუ გაუზიარებს ნარმანია დანარჩენი ქალაქის მერებს თუ მუნიციპალიტეტის გამგებლებს. მეტი რა უნდა გაუზიაროს ნარმანიამ სხვას?! - განაცხადა გიორგი გუგავამ. (ბირელი რელი)

ამ ხალხმა მოწინააღმდეგეები საკუთარი სუიციდის სარჯზე დაამარცხა - გიგა ბოკერია

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, გიგა ბოკერია NDI-ს კვლევების შედეგებს აფასებს. ამის შესახებ ბოკერიამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანი“ ისაუბრა: - ეს ხალხი არიან ისინი, ვინც შეძლო, რომ დაეზიანებინათ მონინალმდეგეები, ოღონდ საკუთარი სუიციდის ხარჯზე. ეს ციფრები არის პოლი-

ტიკური თვითმკვლევლობა. შეგვიძლია, პარალელი გავავლოთ შევარდნადის პერიოდთან „ვარდების რევოლუციის“ წინ, ოღონდ ამჯერად საზოგადოება წინ წავიდა და არანაირი რევოლუცია არ უნდა იყოს. ამას ნერტილი უნდა დაეფუძვინა დემოკრატიული არჩევნების გზით, - განაცხადა გიგა ბოკერიამ. (რუსთავი 2)

სოფელ კირბალიდან გატაცებული ეროს თაყაძე გაათავისუფლეს



სამდლიანი ტყვეობა დასრულდა - სოფელ კირბალიდან გატაცებული მამაკაცი საკუთარ ოჯახს დაუბრუნდა. 43 წლის ეროს თაყაძე ოკუპირებული ცხინვალის თვითაღიარებულმა ხელისუფლებამ ე.წ. საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით განასამარხა და ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლა. თაყაძეს პირობითი საზღვარი არ გადაუკვეთია და იგი შეიარაღებულმა ფორმირებმა ქართული სამართალდამცველების კონტროლირებადი ტერიტორიიდან მსხვილფეხა პირუტყვის მწყემსვისას აიყვანეს. თაყაძე ოკუპირებული ცხინვალის სასამართლომ უკვე მეორედ გაასამარხა. იგი ე.წ. საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით 2012 წელსაც დააკავეს. მამინ თაყაძემ ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორი 10 დღიანი ტყვეობის შემდეგ დატოვა. (რუსთავი 2)

მედიაში პატიმრობაში მყოფი სალაპ აბდესლამის ფოტო გამოქვეყნდა



ბელგიური მედია პატიმრობაში მყოფი სალაპ აბდესლამის ფოტოს აქვეყნებს და ანონიმ წყაროზე დაყრდნობით ტერორისტის პატიმრობის პირობებზეც წერს. არსებული ინფორმაციით, აბდესლამი მკაცრი რეჟიმის ციხეში, უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვის ქვეშ იმყოფება. ამასთანავე, მეორე წყაროზე დაყრდნობით, აბდესლამი ციხეში სამაგალი-





პრემიერის ინსტიტუტი შეიძლება გამოყენებული იყოს არჩევნებში და შეიქმნას არათანაბარი გარემო - მიროტაძე



ოურიდოულ საკითხთა კომიტეტი საარჩევნო კოდექსში დაგეგმილ ახალ ცვლილებებზე მსჯელობს, რომელიც პრემიერის ინსტიტუტს უფლებას აძლევს საარჩევნო სიაში ყოფნასთან ერთად თანამდებობაც შეინარჩუნოს.

მმართველ კოალიციაში განმარტავენ, რომ ცვლილება ქვეყანას თავიდან ააცილებს სამთავრობო პრობლემებს. უმცირესობის აზრით კი ხელისუფლება საარჩევნო კოდექსის თავის თავზე მორგებას ცდილობს.

ევრაზიულ კავშირის მხარს - 20%, ევროკავშირის კი - 61% უჭერს



ევროკავშირის დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის თანახმად, ევრაზიულ კავშირში საქართველოს განვლიანების მომხრე გამოკითხულთა 20 პროცენტია, ევროკავშირში განვლიანებას კი 61 პროცენტი უჭერს მხარს, 9 პროცენტი არც ერთ მოსაზრებას არ ეთანხმება, ასევე 9 პროცენტს პასუხი არ აქვს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნინა გამოკითხვასთან შედარებით გარდობილია ევროკავშირში განვლიანების მომხრეთა რაოდენობა და შემცირებულია ევრაზიული კავშირის მსურველთა პროცენტული მაჩვენებელი.

რა ხდება თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში? უმაღლესი სასწავლებლის ლექტორების ნაწილმა აქცია რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადადგომისა და აკადემიური საბჭოს ახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით დაიწყო, ოთხმა ლექტორმა კი შიმშილობა გამოაცხადა.

ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გელა ტყემელაშვილი, რომელიც აქციის ერთ-ერთი მონაწილე გახლავთ, განმარტავს, რომ უნივერსიტეტში დარღვეულია კანონი, რომლის შედეგადაც ვერ ხორციელდება უმაღლესი სასწავლებლის რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, აკადემიური საბჭოს წევრები ზედზედ არჩეული შეიძლება იყვნენ ორი ვადით. ტექნიკურ უნივერსიტეტში აღნიშნული კანონი დარღვეულია, ეს არის საქართველოს მასშტაბით უპრეცედენტო შემთხვევა, არსად მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ბატონი არჩილ ფრანგიშვილი რექტორის თანამდებობაზე მესამედ აირჩიეს. მესამე ვადით დაინიშნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ქალბატონი ქეთი კუპრაშვილი, ასევე, მესამე ვადით არის არჩეული აკადემიური საბჭოს მინიმუმ 5 წევრი, - აცხადებს ტყემელაშვილი.

მისივე თქმით, აქციის მონაწილეები უნივერსიტეტში კანონიერების აღდგენასა და რექტორის გადადგომას ითხოვენ: - აქციის მონაწილეები კანონიერების აღდგენას ითხოვენ, რადგან მიგვაჩნია, რომ თუ ხელმძღვანელობა არაღიარებულია, მის მიერ განხორციელებული მენეჯმენტი იქნება არაღიარებული. ზოგიერთი პროფესორი აცხადებს, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლების დონის ამაღლება არის აუცილებელი. ნაწილი პროფესორებისა მიიჩნევს, რომ დახურული სივრცეა შესაქმნელი. ამ აქციის შემდგომ დაან-

ონსდა, რომ ოთხმა პროფესორმა შიმშილობა გამოაცხადა. ისინი მოითხოვენ ტექნიკური უნივერსიტეტის მენეჯმენტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანას, ვითხოვენ რექტორის გადადგომას, აკადემიური საბჭოს არჩევნების თავიდან ჩატარებას, ვითხოვენ ადმინისტრაციის არაღიარებული ხელმძღვანელის გადადგომას, - აღნიშნავს პროფესორი.

გელა ტყემელაშვილი რექტორის არჩევნების შემდეგ განათლებების სამინისტროს წერილით მიმართა, რაზეც პასუხი მიიღო, რომ უნივერსიტეტში კანონი არ დარღვეულა. ტყე-

შელაშვილი იმ დეტალებზე საუბრობს, რის საფუძველზეც შესაძლოა რექტორისა და ადმინისტრაციის უფროსის დანიშვნა მოხდეს: - განათლების სამინისტროში მქონდა შეტანილი წერილი. ვფიქრობ, რომ აქ არის ერთი ქსელი, რომელიც განათლების სამინისტროსთან შეხმატებულია, სამინისტრო აკეთებს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რეგისტრაციას. რეგისტრაციაში თავიდან არ გაატარებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მაგრამ შემდგომ ვიღაცამ ჯაღალსური ჯოხი აიჭინა და რექტორი სასწრაფოდ გაატარებს რეგისტრაციას. ადმინისტრაციის ხე-

პირზე ანუ 2014 წლიდან იწყება ათვლა. კანონში მითითებულია, სახელმწიფოს დაფინანსებულ უმაღლეს სასწავლებელში და არა რომელიმე სამართლებრივი ფორმის უმაღლეს სასწავლებელში. ეს არის აბსურდული დასაბუთება, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვერ აბაშს თავს განათლების სამინისტრო მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რის შედეგადაც არღვევს კანონს, - აცხადებს პროფესორი გელა ტყემელაშვილი.

მისივე თქმით, აქციის მონაწილეები უნივერსიტეტში კანონიერების აღდგენასა და რექტორის გადადგომას ითხოვენ: - აქციის მონაწილეები კანონიერების აღდგენას ითხოვენ, რადგან მიგვაჩნია, რომ თუ ხელმძღვანელობა არაღიარებულია, მის მიერ განხორციელებული მენეჯმენტი იქნება არაღიარებული. ზოგიერთი პროფესორი აცხადებს, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლების დონის ამაღლება არის აუცილებელი. ნაწილი პროფესორებისა მიიჩნევს, რომ დახურული სივრცეა შესაქმნელი. ამ აქციის შემდგომ დაან-

ონსდა, რომ ოთხმა პროფესორმა შიმშილობა გამოაცხადა. ისინი მოითხოვენ ტექნიკური უნივერსიტეტის მენეჯმენტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანას, ვითხოვენ რექტორის გადადგომას, აკადემიური საბჭოს არჩევნების თავიდან ჩატარებას, ვითხოვენ ადმინისტრაციის არაღიარებული ხელმძღვანელის გადადგომას, - აღნიშნავს პროფესორი.

გელა ტყემელაშვილი რექტორის არჩევნების შემდეგ განათლებების სამინისტროს წერილით მიმართა, რაზეც პასუხი მიიღო, რომ უნივერსიტეტში კანონი არ დარღვეულა. ტყე-

შელაშვილი იმ დეტალებზე საუბრობს, რის საფუძველზეც შესაძლოა რექტორისა და ადმინისტრაციის უფროსის დანიშვნა მოხდეს: - განათლების სამინისტროში მქონდა შეტანილი წერილი. ვფიქრობ, რომ აქ არის ერთი ქსელი, რომელიც განათლების სამინისტროსთან შეხმატებულია, სამინისტრო აკეთებს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რეგისტრაციას. რეგისტრაციაში თავიდან არ გაატარებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მაგრამ შემდგომ ვიღაცამ ჯაღალსური ჯოხი აიჭინა და რექტორი სასწრაფოდ გაატარებს რეგისტრაციას. ადმინისტრაციის ხე-

ლმძღვანელს არაღიარებულია არ ამტკიცებდა სამინისტრო, მაგრამ რექტორის დამტკიცებიდან ერთ კვირაში ისიც გაატარებს რეგისტრაციას.

საჩივრით მივმართე განათლების სამინისტროს, რაზეც აბსურდული პასუხი გამცეს, რომ კანონი არ დარღვეულა, შემდგომ მომივიდა მეორე წერილი, რადგან ტექნიკური უნივერსიტეტი იყო არაკომერციული, არამომგებიანი იურიდიული პირი და გადააკეთდა 2014 წელს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, ორჯერ ზედიზედ არჩევნები შედგება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ

პირზე ანუ 2014 წლიდან იწყება ათვლა. კანონში მითითებულია, სახელმწიფოს დაფინანსებულ უმაღლეს სასწავლებელში და არა რომელიმე სამართლებრივი ფორმის უმაღლეს სასწავლებელში. ეს არის აბსურდული დასაბუთება, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვერ აბაშს თავს განათლების სამინისტრო მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რის შედეგადაც არღვევს კანონს, - აცხადებს პროფესორი გელა ტყემელაშვილი.

მისივე თქმით, აქციის მონაწილე ლექტორები ცდილობენ სტუდენტების მხარეში პროტესტს, თუმცა, თუ ისინი აქციაში ჩართვას მოინდომებენ, მათ ამას ვერ აუკრძალავენ. (ნოპოსტი)

ნარკოდანაშაულისთვის შს მინისტრის მოადგილის ცოლისძმა დააკავეს? - შსს-ს კომენტარი



არსებული ინფორმაციით, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვის ბრალდებით შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ზურაბ გამეზარდაშვილის ცოლისძმა დააკავეს.

„სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში გაწევრიანებაზე რეფერენდუმი აგვისტომდე ჩატარდება“ - თიბილოვი



ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ე.წ. თიბილოვი განაცხადებით, რუსეთის შემადგენლობაში ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის განვლიანებაზე რეფერენდუმი აგვისტომდე ჩატარდება.



რა ხდება თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში? უმაღლესი სასწავლებლის ლექტორების ნაწილმა აქცია რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადადგომისა და აკადემიური საბჭოს ახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით დაიწყო, ოთხმა ლექტორმა კი შიმშილობა გამოაცხადა.

როგორ მოექცა პატარძალი, რომელიც საგაჭროდ ლილოში წაიყვანეს?

„ფეისბუქზე“ პოლიტიკური პასკვილებისა და სხვადასხვა მძიმე თემებზე ცხარე ან უცნეზურო „დებატებს“ გარდა არის ისეთი პოსტებიც, მისი ნაკითხვის დროს სიცილით რომ მოკვდები და თან ნარსულს „ტუბილად“ გაიხსენებ.



ეს ჩანანერიც ერთ-ერთ ჯგუფში ამოვიკითხეთ. მასში წლების წინ ახლადგათხოვილი გოგონას ქმრის ოჯახთან ურთიერთობის პირველი დღეებია აღწერილი, რა თქმა უნდა, იუმორით: „ქართული ქორწინებიდან პირველი ნაბიჯები 1. პატარძალი აუცილებლად წაიყვანოთ საგაჭროდ, ბაზრობის დასახელება (ლილო, ისანი, ვაგზალი) თანხა 3000 ლარამდეა, რომელსაც დედამთილი აკონტროლებს და რომელსაც ჩანთაში შემდეგნაირად შეინახავს: თმის რეზინი უნდა გადაუჭიროს ფულის კონას და ეს ფული ჩანთის შიგნით „ზემიკიან“ ჯიბეში მოათავსოს. შემდეგ ილიაში მაგრად შეპოჭოს, მეორე ხელით კი ქვემოდან კონტროლი აწარმოოს უსაფრთხოების მიზნით.

2. გაჭრობის თანმდევი დედეგაცია: დედამთილი, ქმარი, მული ან ქმრის ბიძაშვილი გოგონა, მამამთილი მანქანაში (რომლისთვისაც წინდას შეიძენენ გაუხარდებო და პატარძალი გადასცემს შემდეგი ფრაზით - „ეს შენ გიყვოდ, მამა...“ აი, სად გაიყვდრა პირველად ასეთმა მიმართვამ, (ამ დროს ყველა გაიცინებს) მამამთილს კი სიამოვნების ყრუანტიელი დაუფელის დაბოლოს, გამოსასვლელში ტაშტი და სარეცხის სამაგრები მოსაჩვენებლად.

3. პატარძალი გოგონა ნავაჭრის სახლში მიტანისთანავე ურეკავს დედას და აბარებს ანგარიშს, თუ რა უყიდეს, რომ გული დაიმშვიდოს ქალმა. რაღა თქმა უნდა, ამას მოსდევს დედის განვრცობა სანათესაოში, თუ რაოდენ კარგ ოჯახში მოხვდა მისი ქალიშვილი. ის ჰყვება რაც უყიდეს იმ განსხვავებით, რომ ამ ჩამონათვალში შუბაც არის და ყველაფერი ორი ან სამი წყვილია. ამ ამბის გადმოცემისას მსმენელს აქვს შემდეგნაირი სახე: ქვედა ტუჩი ზემოთ ზედა კი ქვედაშია დამალული (გაოცების მდგომარეობა), ხელები გულზე დაკრეფილი და თავს ზემოდან ქვემოთ ახვეწენ შიგადაშიგ ფრაზებით - „ღმერთმა ბედნიერები ამყოფოთ“.

+ ამას: არაფერი არაა პატარძლის გემოვნებით ნაყიდი". იცინეთ ხომ? (postabani.com)







### ყველაზე ჭარბწონიანი ხალხი პოსტსაბჭოთა ქვეყნებშია



ჭარბწონიანობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა, რომელიც წლიდან წლამდე სულ უფრო სერიოზულ სახეს იძენს.

რადიო თავისუფლების ევროპულმა ნაწილმა საკმაოდ საინტერესო სტატისტიკა გამოაქვეყნა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველაზე ჭარბწონიანი ხალხი გამოავლინა.

რეიტინგი ორ ნაწილად გაიყო და ამა თუ იმ ქვეყანაში ქალისა და მამაკაცის ჭარბწონიანობის პროცენტული მაჩვენებლები წარადგინა.

პირველ ადგილზე ლიტვა გავიდა. როგორც აღმოჩნდა, ამ ქვეყანაში ორივე სქესის წარმომადგენლებში ზედმეტი კილოგრამების პრობლემაა. ბოლო ადგილზე ტაჯიკეთი იმყოფება, აქ ქალებსაც და მამაკაცებსაც ჭარბწონიანობის პრობლემა ყველაზე ნაკლებად აქვთ.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც მოსალოდნელი იყო, ქალებში სიმსუქნის პრობლემა მამაკაცებისას აღემატება. ჩვენს ქვეყანაში ზედმეტი წონის სუსტი სქესის წარმომადგენლების - 22.3%, ხოლო ძლიერი სქესის 16.3% ებრძვის.

რაც შეეხება ზოგადად, მსოფლიოს მონაცემებს, „ფორბსის“ ინფორმაციით, პირველ ადგილზე 94.5 პროცენტით ნაურუ იმყოფება, ბოლოზე კი - ერთობა 4.4 პროცენტით. საქართველო ცნობილი გამოცემის რეიტინგში 194-დან 113-ე ადგილზე, 44.8 პროცენტით გავიდა.

daijesti.pia.ge

### რამდენ ხანს რჩება ნარკოტიკი ადამიანის ორგანიზმში?



ჰაშიში, მარიხუანა - შარდში - 7-30 დღე; სისხლში - დაახლოებით 2 კვირა; თმაში - 90 დღემდე.

კოკაინი - შარდში - 3-4 დღე; სისხლში - 1-2 დღე; თმაში - 90 დღემდე.

ალკოჰოლი - შარდში - 3-5 დღე; სისხლში - 10-12 საათი; თმაში - 90 დღემდე.

LSD - შარდში - 1-3 დღე; სისხლში - 2-3 საათი; თმაში - 3 დღემდე.

ექსტაზი: შარდში - 3-4 დღე; სისხლში - 1-2 დღე; თმაში - 90 დღემდე.

პეროინი - შარდში - 3-4 დღე; სისხლში - 12 საათამდე; თმაში - 90 დღემდე.

ამფეტამინი - შარდში - 1-3 დღე; სისხლში - დაახლოებით 12 საათი; თმაში - 90 დღემდე.

მეტამფეტამინი - შარდში - 3-6 დღე; სისხლში - 24-36 საათი; თმაში - 90 დღემდე.

ორგანიზმში ნარკოტიკების კვალის ხანგრძლივობა პიროვნების სიმაღლეზე, წონაზე, ასაკზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და გამოყენებაზე დამოკიდებულია.

galanews.ge

### აგსტრალიელმა, ბავშვების ნაცვლად, ღვედი ლუდის ყუთებს გაუკეთა

ვისთვის რა არის პრიორიტეტული, ბატონო. რა მოხდა, თუ ლუდი ცოტა, არ იყოს, ჭარბად მიყვარსო, თავს იმართლებდა აგსტრალიელი მძღოლი, მაგრამ პოლიციამ ვერ მოგართვი, მე შენ გასწავლი მოძრაობის წესებსო.

ახლა რა მოხდა - აგსტრალიის ქალაქ ბრუმბილში 27 წლის მძღოლის მანქანის საავარტელზე ლუდის ორი ყუთი ღვედით ჰქონდა დამაგრებული მამის, როცა უკანა საავარტელზე ორი ზრდასრული და რამდენიმე მცირეწლოვანი ბავშვი იჯდა.

„ძალიან სამწუხარო სურათია, რომელიც ზოგიერთი მძღოლის საქციელსა და პრიორიტეტებს გვაჩვენებს. ჩვენ რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ასეთი ადამიანები დაგსაჯოთ და მოსახლეობას მართვის წესები ვასწავლოთ“, - განაცხადა პოლიციის თანამშრომელმა.

ლუდის მოყვარული მძღოლი მოძრაობის წესების დარღვევისა და ბავშვების სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის ბრალდებით დააკავეს.



etotopo.ru

### 104 წლის ბრიტანელმა ტატუ-სალონის ყველაზე ასაკიანი სტუმრის სტატუსი დაიმსახურა

ბრიტანელი პენსიონერი ჯეკ რეინოლდსი დიდხანს ფიქრობდა, რა შეიძლება გაეკეთებინა თავის 104-ე დაბადების დღეზე, რომ კიდევ 104 წელი არ დაეწყებოდა. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა, რომ სვირინგის გაკეთება ურიგო არ იქნებოდა. ჰოდა, ადგა და მკლავზე თავისი მეტსახელი და დაბადების თარიღი ამოისვირინგა. თუ გიჟობაა, გიჟობა იყოსო და ჯეკის 55 წლის ქალიშვილმა და 35 წლის შვილ-შვილმაც ზუსტად უზუსტესნაირი სვირინგი გაიკეთეს და დაბადების დღეც ასე მიულოცეს.

თანაც ჯეკმა თქვა, ჩემს ასაკში სვირინგი პატარა ამბავი არაა, ამიტომ ღუნამ უნდა ნახოს, რა ჭკუაზე ვარო და თავისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში გაავრცელა.

გაგიკვირდებათ და სვირინგის დამსახურებით, რეინოლდსი გინესის რეკორდების წიგნში მეორედ მოხვდა. პირველად, 2014 წელს ყინულის გამოწვევაში მონაწილეობის მიღებით, როგორც ყველაზე ასაკიანმა მონაწილემ, რეკორდსმენის სტატუსი დაიმსახურა.



lenta.ru

### დიდ ბრიტანეთში საკვებად ვარგისი საპატარძლო კაბა შექმნეს

დიდ ბრიტანეთში მსოფლიოში პირველად ისეთი საქორწილო კაბა შექმნეს, რომლის შექმაც შესაძლებელია. კაბა-ტორტს საერთაშორისო საკონდიტრო კონკურსზე წარადგინენ.

კაბაზე კონდიტრები, სილივა ელბა და ივეტ მარნერი და მხატვარი ილინკა რნიკი მუშაობდნენ. საბოლოო შედეგის მისაღწევად ქალებს 300 საათი დასჭირდა.

სამაგიეროდ, შედეგი გარჯად ღირდა. კაბა 170 სანტიმეტრი სიგრძისაა და 75 კილოგრამს იწონის. შექმნილებმა ათასი ცალი საკვები ვაფლი, 35 კილოგრამი სხვადასხვა ტკბილეული და სამი კილოგრამი დეკორატიული არშია გამოიყენეს, რათა ტორტისთვის ყველა ქალისთვის საოცნებო საპატარძლო კაბის იერი მიეცათ. თუმცა, ტკბილი სამოსის ჩაცმა შეუძლებელია.

lenta.ru

### „საუკუნის შემოთავაზება“ - იყიდება სახლი დიასახლისთან ერთად

ქალაქ ჯოკიაკარტას მცხოვრებმა, 40 წლის ქალბატონმა, ვინა ლიმ ინტერნეტში უცნაური განცხადება განათავსა: „იყიდება უძრავი ქონება 990 000 რუპიად (დაახლოებით 76.5 ათასი დოლარი). განცხადებაში ნათქვამია, რომ სახლის საერთო ფართი 130 კვ.მეტრია, სახლში ორი საძინებელი, სააბაზანო და გარაჟია. ეზოში ხელოვნური წყალსატევია მოწყობილი, სადაც თევზები ბინადრობენ.

განცხადება კი ასეთი ფრაზით მთავრდება: „საუკუნის შემოთავაზება! იყიდეთ სახლი და თქვენ შესაძლებლობა გექნებათ მისი მფლობელი ცოლად მოიყვანოთ!“

ვინა ლი 2000 წელს დაქვრივდა, ამის შემდეგ ქალბატონი დიდხანს ეძებდა ისეთ მამაკაცს, რომელსაც თავის მომავალ ცხოვრებას დაუკავშირებდა, მაგრამ უშედეგოდ...



gurianews.com

### რა დაავადებისგან იცავს კაცებს კვერცხი?



კაცებო, ქვის აგდება და თავის შეშვება, კვერცხს რა მაჭმევსო, საჭირო არ არის, შემწვარ-მოხრაკულებს ხომ კარგად მიირთმევთ. ჰოდა, ფინელმა მეცნიერებმა თქვეს, ამდენი ცხიმის მიღებას, გირჩევნიათ კვირაში 4 ცალი კვერცხი მაინც შეჭამოთ და შაქრიანი დიაბეტისგან დაცული იქნებითო.

თურმე, კვერცხი ისეთი კარგი პროდუქტი ყოფილა, რომ ორგანიზმი მის სარგებელს 98 პროცენტით ალოქვამს და იღებს. აი, ცხიმოვანი რძის პროდუქტებისგან კი, სჯობს, თავი შეიკავოთ.

ადრე ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანს დღეში 2 კვერცხის მიერთმევა შეუძლია ისე, რომ საშიში დაავადების საფრთხე არ დაემუქროს. პირიქით, ეს მხოლოდ ცილის დლიური ნორმა ყოფილა, რომელიც ძალიან სასარგებლოა.

ის დროა, მამრობითი სქესი მწავდისა და ხაჭაპურის კვერცხით ჩანაცვლებაზე ფიქრობდეს.

myjane.ge

### მშობლები გვაცყუებენ, მათ ერთ-ერთი შვილი გამორჩეულად უყვართ



მშობლების ფავორიტი, უმეტესად, პირველი შვილია ხოლმე, ამის შესახებ ნათქვამია კალიფორნიის უნივერსიტეტის კვლევაში, სადაც მონაწილეობა 768 მშობელმა მიიღო.

დედების 70-მა და მამების 74-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი შვილი განსაკუთრებულად უყვართ.

მკვლევარებმა სულ 384 ოჯახი შეისწავლეს. ყველა მონაწილე ოჯახში წყვილებს ჰყავდათ ორი შვილი და ბავშვებს შორის ასაკობრივი სხვაობა 4 წელი იყო.

მშობლებს არ დაუსახებლებიათ, რომელი შვილია მათი ფავორიტი, თუმცა შედეგებმა აჩვენა, რომ უმეტესად, განსაკუთრებით უფროსი შვილი უყვართ.

კვლევას კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი კეტრინ კონგერი უძღვებოდა.

daijesti.pia.ge



Grid table containing various text entries, numbers, and arrows for a voting system. The table has multiple columns and rows, with arrows indicating a specific path or sequence of selections. Some cells contain numbers like 10, 12, 14, 15, 16, 17, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140.

Vertical text on the left side of the page, possibly containing names or identifiers for the ballot items.

Vertical text on the right side of the page, possibly containing names or identifiers for the ballot items.

